საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-10/37

ქ. ბათუმი 13 მარტი, 2020 წ

კორონავირუსული ინფექციების შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით ბსუ-ს პერსონალის სამსახურში გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის №296 ბრძანების, ,,ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 02 მარტის №434 განკარგულების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ში 2020 წლის გაზაფხულის სემესტრში კორონავირუსული ინფექციების შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების მიზნით გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

   ა) ბსუ-ს პერსონალის სამუშაო ადგილზე დაშვება განხორციელდეს მხოლოდ ქ. ბათუმში, ნინოშვილის ქ. №35-ში მდებარე ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობის შესასვლელიდან (ბსუ-ს კანცელარიის მხრიდან);

   ბ) ქრონიკული დაავადების მქონე ან/და ორსული დასაქმებულის (დადასტურებული შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტით) სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობა ჩაითვალოს საპატიოდ;

   გ) 2020 წლის 13 მარტიდან ბსუ-ს პერსონალის დილით, 09:00 საათიდან 10:00 საათამდე დროის მონაკვეთში სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობა, ასევე სამუშაო ადგილიდან წასვლა 17:00 სთ-ის შემდეგ ჩაითვალოს საპატიოდ;

   დ) ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულებში დაწესდეს დასაქმებულთა სამუშაოზე გამოცხადების მონაცვლეობითი განრიგი (შესასრულებელი სამუშაოს გათვალისწინებით);

ე) აიკრძალოს ბსუ-ს ტერიტორიაზე ნებისმიერი ავტოსატრანსპორტო საშუალების დაშვება, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი უწყებების - საპატრულო, სახანძრო, სასწრაფო დახმარების, საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა.

2. ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის, ადამიანური რესურსების მართვის, შიდა აუდიტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურების მიერ სარეგისტრაციო აპარატის (ელექტრონული ტაბელის) მონაცემების (ინფორმაციის) დამუშავებისას გათვალისწინებული იქნეს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით დადგენილი შეღავათი.
3. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს და მართვის ორგანოებს.
4. ბრძანების ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდსა და საინფორმაციო დაფებზე (კანცელარიასთან და ფაკულტეტებზე) განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა და კანცელარიამ, მათი კომპეტენციების შესაბამისად.
5. ბრძანება ძალაშია 2020 წლის 13 მარტიდან.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ალექსანდრე მითაიშვილი